



საქართველოს პარლამენტი

## საქართველოს პარლამენტის ბიუროს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№258/16

2019 წელი, 13 მაისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 153-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2019 წლის 4 თებერვლის №233/11 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ 2019 წელს მინისტრის საათის (სამთავრობო პროგრამის შესრულების შესაბამისი მიმართულების შესახებ საქართველოს მთავრობის ცალკეული წევრების საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხსენება) გამართვის განრიგში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-5 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

5	საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი	17-20 სექტემბერი
---	--	---------------------

“;

ბ) მე-7 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

7	საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი	3-6 სექტემბერი
---	---	-------------------

“;

გ) მე-8 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

8	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო	1-4 ოქტომბერი
---	---	------------------

“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის  
პირველი მოადგილე,  
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე



თამარ ჩუგოშვილი